ევროკავშირი
საქართველოსთვის
Project funded by the European Union

შინაგან საქმეთა სამინისტრო

2021 წლის საქმიანობის ანგარიში

2021 წლის პრიორიტეტები

- კრიმინალური პოლიციის რეფორმა
- ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა
- ადამიანის უფლებების დაცვა და გაძლიერება
- მშვიდობიანი საარჩევნო გარემოს შექმნა
- საგანგებო და ექსტრემალური სიტუაციების მართვა
- ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის გაძლიერება
- საზღვრების მართვა და მიგრაცია
- საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის გაძლიერება
- საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება
- ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება
- ავტოპარკის განახლება
- სამინისტროს სტრუქტურული დანაყოფების მასშტაბური გადაიარაღება
- ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერება
- საპოლიციო სერვისების გაუმჯობესება
- მედიასა და საზოგადოებასთან სწორი და დროული კომუნიკაცია
- პოლიციისადმი ნდობის ხარისხის გაზრდა

GALLUP®

ამერიკულმა ორგანიზაცია “Gallup”-მა (გლობალური გამოკითხვების ანალიტიკური ცენტრი) 2021 წლის კანონისა და წესრიგის ინდექსი გამოაქვეყნა. აღნიშნული ინდექსის მიხედვით, საქართველომ შეფასების 100-ბალიანი სისტემით 88 ქულა აიღო და გერმანიასთან, შვედეთსა და მალტასთან ერთად, მსოფლიოს საუკეთესო ოცეულში მე-17 ადგილზე გავიდა. ინდექსი ეფუძნება გლობალურ გამოკითხვას, რომლის მეშვეობითაც შეფასებულია ადამიანების პირადი უსაფრთხოება და მათი საკუთარი გამოცდილება დანაშაულსა და სამართალდამცავ ორგანოებთან მიმართებაში. რესპონდენტებმა გამოკითხვისას უპასუხეს კითხვებს პოლიციის მიმართ ნდობის, ღამით დაცულობის, ბოლო ერთ წელში გადახდენილი ქურდობის, თავდასხმის ან ძარცვის შემთხვევების შესახებ.

2021 წლის კანონისა და წესრიგის გლობალური ანგარიში წარმოადგენს “Gallup”-ის უახლესი კვლევის შედეგებს, რომლებიც 120 000-ზე მეტი სრულწლოვანი მოქალაქის ინტერვიუს ეფუძნება. გამოკითხვა 115 ქვეყანასა და რეგიონში ჩატარდა. კვლევა ასევე მოიცავს 51 ქვეყანაში ჩატარებული საველე სამუშაოების მონაცემებს. ორგანიზაცია “Gallup” ერთ-ერთია იმ 30-მდე საერთაშორისოდ აღიარებულ სუბიექტს შორის, რომლებსაც მსოფლიო ბანკის გლობალური მმართველობის ინდიკატორები ეფუძნება.

დანაშაულის სტატისტიკა

2020 წელთან შედარებით, 2021 წელს დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი გაიზარდა 35,5%-დან 49,8%-მდე

გახსნილი დანაშაული

49.8%

2020 წელს რეგისტრირებული დანაშაულის კლება დაფიქსირდა და მნიშვნელოვანია, რომ 2021 წელსაც გაგრძელდა დანაშაულთან ეფექტიანი ბრძოლა, რაც გულისხმობს როგორც პრევენციული ღონისძიებების ჩატარებას, ასევე, რეაგირების მექანიზმების გაუმჯობესებასა და შესაბამისი დანაყოფების მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

მკვლელობა	**-10.4%**
ოჯახში ძალადობა	**-8.4%**
გამოძალვა	**-11.3%**
ძარცვა	**-4.5%**
ქურდობა	**-5.7%**
ბინის ქურდობა	**-4.4%**
კიბერდანაშაული	**-48.0%**

ვინაიდან, 2020 წლის აპრილსა და მაისში დაწესებული სრული ლოქდაუნის და შემდგომ თვეებში არსებული სხვადასხვა სახის შეზღუდვების ფონზე, ქვეყანაში დაფიქსირდა დანაშაულის დაბალი მაჩვენებელი, ლოგიკურია, რომ 2021 წელს, ასეთი შეზღუდვების არ არსებობის ფონზე, გარკვეულ კატეგორიებში მოსალოდნელი იყო დანაშაულის ზრდა, თუმცა, საერთო ჯამში, სამართალდამცავმა უწყებებმა შეძლეს, შეენარჩუნებინათ მიღწეული შედეგი და 2021 წელს, გასულ წელთან შედარებით, დანაშაულის, დაახლოებით 0,5-%-იანი კლება დაფიქსირდა. ამავდროულად, მნიშვნელოვანია დანაშაულის გახსნის მაჩვენებლის ზრდა, რომელიც 35,5%-დან 49,8%-მდე გაიზარდა.

ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა

სამინისტროსთვის ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. მთავრობის დადგენილებით დამტკიცებულია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს შინაგან საქმეთა სამინისტრო. საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების, მონიტორინგის და შეფასების წესის შესაბამისად, დამტკიცდა „2021-2024 წლების ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია“.

სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულია

2

კანონიერი ქურდი

„ქურდული სამყაროს“ წევრობის, მხარდაჭერისა და „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვის ბრალდებით დაკავებული და პასუხისგებაში მიცემულია

93

პირი

ნარკოტიკული საშუალების გასაღებისთვის დაკავებული და პასუხისგებაში მიცემულია

136

პირი

დაკავებული და პასუხისგებაში მიცემულია ნარკოტიკებით ონლაინ ვაჭრობაში ჩართული

23

პირი

დაიხურა

9

ინტერნეტ ნარკოსარეალიზაციო მაღაზია

გამოვლენილია ნარკოტიკების დამამზადებელი

1

ნარკოლაბორატორია

უკანონო ბრუნვიდან ამოღებულია

19 კგ „ჰეროინი“

4 კგ „კოკაინი“

5000 აბი „სუბუტექსი“ და „სუბოქსინი“

3 კგ ნარკოტიკული საშუალება „ალფა პვპ“

0.5 კგ „მდმა“

0.5 კგ „მეფედრონი“

26 კგ ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები

- 2021 წელს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულია 2 „კანონიერი ქურდი“;
- „ქურდული სამყაროს“ წევრობის, მხარდაჭერისა და „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვის ბრალდებით დაკავებული და პასუხისგებაში მიცემულია 93 პირი;
- ნარკოტიკული საშუალების გასაღებისთვის დაკავებული და პასუხისგებაში მიცემულია 136 პირი;
- დაკავებული და პასუხისგებაში მიცემულია ნარკოტიკებით ონლაინ ვაჭრობაში ჩართული 23 პირი;
- დაიხურა 9 ინტერნეტ სარეალიზაციო მაღაზია;
- გამოვლენილია ნარკოტიკების დამამზადებელი 1 ნარკოლაბორატორია;
- ქვეყნის მასშტაბით, უკანონო ბრუნვიდან ამოღებულ იქნა: 19 კგ „ჰეროინი“; 4 კგ „კოკაინი“; 5000 აბი „სუბუტექსი“ და „სუბოქსინი“; 3 კგ ნარკოტიკული საშუალება „ალფა პვპ“; 0.5 კგ „მდმა“; 0,5 კგ „მეფედრონი“; 26 კგ ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებები;
- ტრეფიკინგის პრევენციის მიზნით, სამინისტროში შექმნილია მობილური ჯგუფები. 2021 წელს მათ მიერ შემოწმდა რისკის შემცველი 100 ობიექტი, გამოკითხულია 393 პირი.
- ტრეფიკინგის ბრალდებით დაკავებული და პასუხისგებაში მიცემულია 8 პირი;
- კიბერდანაშაულთან ბრძოლის კუთხით, დაკავებული და პასუხისგებაში მიცემულია 136 კიბერდამნაშავე.
- 2021 წელს სამართალდაცვით სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ცენტრის მიერ, სხვადასხვა არხით მიღებული და დამუშავებულია 8891 თხოვნა/ოპერატიული ინფორმაცია 24 082 პირის შესახებ;
- დაკავებულია ინტერპოლის წითელი ცირკულარით საერთაშორისო დონეზე ძებნილი 26 პირი და ამოღებულია ინტერპოლის არხებით ძებნილი 68 ავტომობილი;

ტრეფიკინგის ბრალდებით დაკავებული და პასუხისგებაში მიცემულია

8

პირი

დაკავებული და პასუხისგებაში მიცემულია

136

კიბერდამნაშავე

- 2021 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის ატაშეების უშუალო მონაწილეობით, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ჩატარდა 13 ერთობლივი ოპერაცია, რომელთა ფარგლებშიც დაკავებულია საქართველოს 90 მოქალაქე და 4 „კანონიერი ქურდი“.

EUROPOL

აქტიურად გრძელდებოდა თანამშრომლობა ევროპოლთან, რომლის ეგიდით გამართულ ღონისძიებებში ჩართული იყო ქართული მხარეც; მათ შორის, აქტიურად მიმდინარეობდა ოპერატიული ინფორმაციის გაცვლა ევროკავშირის ტერიტორიაზე მოქმედ ორგანიზებულ-დანაშაულებრივ დაჯგუფებებთან დაკავშირებით და მხოლოდ ევროპოლის ფარგლებში მოქმედი უსაფრთხო კომუნიკაციის არხით „სიენა“, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან გაცვლილი იქნა 905 ოპერატიული ინფორმაცია 1382 პირის თაობაზე.

კრიმინალური პოლიციის რეფორმა

- შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მნიშვნელოვანი ამოცანაა დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავება და ქვეყანაში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა. კრიმინალური პოლიციის რეფორმის ფარგლებში, სპეციალიზაციის და საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით მიმდინარეობს ოპერატიული, საგამოძიებო და საუბნო მიმართულებების მკაფიო გამიჯვნა.

  შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ცვლილებები, რომელთა ფარგლებშიც, საკანონმდებლო დონეზე, საგამოძიებო და საპროკურორო უფლებამოსილებები გაიმიჯნება. საკანონმდებლო ცვლილებები უზრუნველყოფს საპროკურორო და საგამოძიებო უფლებამოსილებების დაბალანსებულ გადანაწილებას სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე. გამომძიებელი პასუხისმგებელი იქნება გამოძიების დაწყებასა და მის ჩატარებაზე, ხოლო პროკურორი - სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებასა და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერაზე. პროკურორი განახორციელებს გამოძიების საპროცესო ზედამხედველობას და არა გამოძიების ხელმძღვანელობას. პროექტი სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და საფრთხეს არ უქმნის გამოძიების ეფექტიანობას. ახალი კანონმდებლობა ეტაპობრივად ამოქმედდება. ამასთანავე, რეფორმის პრაქტიკაში ეფექტიანად დანერგვისთვის საჭირო ღონისძიებების გეგმა შემუშავებულია სამინისტროში. საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი წარდგენილია საქართველოს პარლამენტში და უახლოეს მომავალში დაიწყება საკანონმდებლო განხილვის პროცედურები;
- მოსახლეობის ჩართულობა უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის კუთხით ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა.

კრიმინალური პოლიციის რეფორმის ფარგლებში, მოქალაქეთა საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და დაცულობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სამინისტროში გრძელდება საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის პროექტი, რომლის ფარგლებშიც შექმნილი მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი 2021 წელს თბილისის კიდევ ერთ რაიონში ამოქმედდა. ინსტიტუტის მიზანია პოლიციის პრევენციული საქმიანობის გაძლიერება. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს, ძველი თბილისის, ისანი-სამგორისა და დიდუბე-ჩუღურეთის მთავარ სამმართველოებში 2021 წლის ბოლოსთვის 298 მართლწესრიგის ოფიცერი მუშაობდა. 2022 წლის თებერვალში მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი გლდანი-ნაძალადევის რაიონშიც ამოქმედდება, რის შემდეგაც თბილისი სრულად იქნება დაფარული. საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო კონცეფციის სრულყოფილად დანერგვისათვის იგეგმება მართლწესრიგის ოფიცერთა რაოდენობის ეტაპობრივად გაზრდა და ყველა მსხვილი ქალაქის მოცვა.

ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობა

არსებული თანამედროვე და რთული კრიმინალური გამოწვევების ფონზე, ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის (Intelligence-led Policing - ILP) მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს მასობრივი დანაშაულის პრევენციას და შემდგომში - მის აღკვეთას, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს დანაშაულის შემცირებას.

დღეის მდგომარეობით, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრებმა შეიმუშავეს ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის (ILP) განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დოკუმენტები.

მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა ანალიზზე დაფუძნებული საპოლიციო საქმიანობის სტრატეგია, რომელიც მოიცავს ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა: ანალიტიკური ქსელის გაფართოება, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა/განახლება და ადამიანური რესურსების განვითარება.

საზღვრის ეფექტიანი მართვა და შიდაუწყებრივი კოორდინაცია

საზღვრის ეფექტიანი მართვა წარმოადგენს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას. 2021 წელს სამინისტროში შემუშავდა საზღვრის ეფექტიანი მართვისა და შიდაუწყებრივი კოორდინაციის პროექტი, რომლის მიზანია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, საზღვრის ინტეგრირებული მართვის ეფექტიანი და სრულყოფილი სისტემის დანერგვა, აგრეთვე, საზღვართან დაკავშირებული დანაშაულის შემცირება და პრევენციის მექანიზმის გაუმჯობესება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, პროექტით გათვალისწინებულია კომპლექსური ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ოპტიმიზაცია და კვალიფიციური ადამიანური რესურსით უზრუნველყოფა, კოორდინაციის გაუმჯობესება, რისკების ეფექტიანი მართვისა და ანალიზის ერთიანი მეთოდოლოგიის დანერგვა, თანამედროვე ტექნოლოგიური უზრუნველყოფის იმპლემენტაცია.

პროექტის ფარგლებში, სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში შეიქმნა საზღვრის მართვისა და კოორდინაციის სამმართველო, რომლის კომპეტენციად განისაზღვრა საზღვრის მართვის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება, სასაზღვრო მონიტორინგი, რისკების შეფასება/ანალიზი, აგრეთვე, მგზავრთა მონაცემების დამუშავებისა და ოპერატიული მხარდაჭერის უზრუნველყოფა. ხოლო საზღვრის ეფექტიანი მართვის ოპერაციულ ნაწილს უზრუნველყოფენ სასაზღვრო პოლიცია და საპატრულო პოლიციის საზღვრის მართვისა და კოორდინირების მთავარი სამმართველო.

საპატრულო პოლიცია

- საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების აღრიცხვის პროცესის გაციფრულებისა და მონაცემთა ერთიანი ბაზის ამოქმედების მიზნით, შეიქმნა და საპილოტე რეჟიმში დაინერგა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების აღრიცხვიანობის ახალი ელექტრონული პლატფორმა. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების აღრიცხვის ელექტრონული ბარათები შემუშავებულია ევროკავშირის CADaS-ის სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. ელექტრონული პლატფორმა უზრუნველყოფს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების GPS კოორდინატების ავტომატურ ფიქსაციას, რაც საავტომობილო გზებზე „შავი წერტილების“ იდენტიფიცირების საშუალებას მოგვცემს. ასევე საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების ელექტრონული ბარათის საშუალებით შესაძლებელია დეტალური ინფორმაციის მოძიება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ტიპის, მეტეოროლოგიური პირობების, გზის საფარის მდგომარეობის, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების ხელშემწყობი ფაქტორების შესახებ და სხვ;
- საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა შეიძინა ახალი ტექნიკა და აღჭურვილობა, კერძოდ: გრაფიკულ სამუშაოებზე ადაპტირებული პერსონალური კომპიუტერიები, ორეკრანიანი კომპიუტერები, ბორტკომპიუტერები, პორტატული (საჯარიმო) პრინტერები, ვიდეოკამერები, ალკომეტრები, სერვერი;
- საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში განახლდა ავტოპარკი. დეპარტამენტს გადაეცა სახაზო პატრულირებისათვის განკუთვნილი 93 ერთეული სატრანსპორტო საშუალება;
- წარმატებით განხორციელდა ჰიბრიდული ტიპის, „HYUNDAI“-ს ფირმის, „IONIQ“-ის მოდელის ავტომანქანის ტესტირება და გამოცდა სახაზო-საპატრულო საქმიანობისათვის შესაბამისობის დადგენის მიზნით;
- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროექტ „SBMMG“-ის ფარგლებში, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საზღვრის მართვისა და კოორდინირების მთავარ სამმართველოს გადაეცა 38 ცალი პასპორტწამკითხველი;
- ფრანგული პროექტის „პრომეთეუსის“ ფარგლებში, ორგანიზაცია CIVIPOL-ის და ICMPD-ს მხარდაჭერით საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საზღვრის მართვისა და კოორდინირების მთავარ სამმართველოს წინასწარი შემოწმების პროცედურებისათვის გამოყენების მიზნით გადაეცა სპეციალური აღჭურვილობა;
- ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკის დეპარტამენტის

ეროვნული ბირთვული უსაფრთხოების ადმინისტრაციამ (DOE/NSSA) საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს საზღვრის მართვისა და კოორდინირების მთავარ სამმართველოს გადასცა რადიაციული ფონის შესამოწმებელი ხელსაწყოები;

- ამერიკის შეერთებული შტატების რეგიონული უსაფრთხოების ოფისმა (RSO) საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საზღვრის მართვისა და კოორდინირების მთავარ სამმართველოს სპეციალური ტექნიკა გადასცა;
- საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიაზე განთავსდა პანელური ჰელიოსისტემა, რომელიც გამოიმუშავებს შენობისა და მის მიმდებარედ არსებული დამხმარე ნაგებობებისა და დანადგარებისათვის საჭირო ელექტროენერგიის მნიშვნელოვან ნაწილს. პროექტი განხორციელდა ლიეტუვის რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტროს თანადაფინანსებით;
- წლის განმავლობაში საპატრულო პოლიციის საზღვრის მართვისა

და კოორდინირების მთავარმა სამმართველომ საზღვარზე გაატარა 5 185 125 ადამიანი;

- 2021 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა ცვლილება კანონში - „საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლის და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ“. 2021 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებიდან ევროკავშირი/შენგენის ზონის მიმართულებით, ქვეყნიდან გასვლა დროებით შეეზღუდა საქართველოს 2000-მდე მოქალაქეს.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი - „112“

2021 წლის სტატისტიკა

- **„112“-ში შემოვიდა 5 077 823 ზარი**
- **2020 წელთან შედარებით, არამიზნობრივი ზარების რაოდენობა შემცირდა 35%-ით**
- **კოვიდთან დაკავშირებით შემოვიდა 1 149 438 ზარი**

- საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში დანერგილია ამერიკული პროგრამა ProQA, სისტემა, რომელიც 25 წელზე მეტია არსებობს, 50-ზე მეტ ქვეყანაში მოქმედებს და სამი პროტოკოლისგან შედგება: საპოლიციო, სახანძრო/სამაშველო და სასწრაფო სამედიცინო. საქართველოში ProQA Paramount-ით სახანძრო-სამაშველო და საპოლიციო საქმეები უკვე იმართება. შემდეგ ეტაპზე კი სასწრაფო სამედიცინო პროტოკოლი დაინერგება;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის სასწავლო ცენტრს მიენიჭა უფლება, განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - „საკონტაქტო ცენტრის დისტანციური მომსახურების სპეციალისტი“. პროფესიული მომზადების პროგრამის გავლის შემდგომ, მსმენელები სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს მიიღებენ;
- საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრმა „112“-მა „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად, ელექტრონული ზედამხედველობა განახორციელა 15 პირზე;
- 2021 წელს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრმა „112“-მა მიიღო გადაწყვეტილება და დაიწყო სასწავლო ცენტრისათვის საერთაშორისო ISO 21001:2018 სტანდარტის „საგანმანათლებლო დაწესებულების მენეჯმენტ სისტემის ხარისხი“, ხოლო ოპერატიული მართვის სამმართველოსათვის საერთაშორისო ISO 9001:2015 სტანდარტის - „ხარისხის მენეჯმენტ სისტემები“ დანერგვა;
- 2021 წელს საქართველოს მასშტაბით

დამონტაჟდა 628 ვიდეოკამერა, მათ შორის 88 ნომრის ამომცნობი და 540 ზოგადი ხედვის კამერა;

- საქართველოს საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებზე 2021 წელს ამოქმედდა სიჩქარის კონტროლის 77 სექცია, რის საფუძველზეც კონტროლდება 260 კმ. სიგრძის საგზაო მონაკვეთი;
- საქართველოს მასშტაბით, ჯამურად, დამონტაჟებულია 5414 ვიდეოკამერა, მათ შორის 1839 ნომრის ამომცნობი და 3575 ზოგადი ხედვის ვიდეოკამერა. საშუალო სიჩქარის კონტროლისა და საგზაო მოძრაობის ადმინისტრირების მიზნით, საქართველოს საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებზე სულ ამოქმედებულია სიჩქარის კონტროლის 347 სექცია, რის საფუძველზეც, ჯამურად კონტროლდება 1412 კმ. სიგრძის საგზაო მონაკვეთი;
- საზოგადოებრივი უსაფრთხეობის მართვის ცენტრი „112“ პანდემიის დაწყებიდანვე აქტიურად არის ჩართული

კორონავირუსის მართვის პროცესში და განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობს, რათა თითოეულმა მოქალაქემ დროული და მაღალკვალიფიციური მომსახურება მიიღოს. გადაუდებელი შემთხვევისას, შეუფერხებლად დაკავშირებისთვის 112 დაიყო სამ არხად:

✓ 112 – სასწრაფო სამედიცინო გადაუდებელი დახმარება;
✓ 112-1 – პოლიცია და სახანძრო სამაშველო სამსახური;
✓ 112-2 – Covid 19;

Covid19-ის ვირუსის დადასტურების შემთხვევაში მოქალაქეს შეუძლია დარეკოს 112-ზე ან დარეგისტრირდეს პორტალზე: https://er.moh.gov.ge/ პორტალი, შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ისა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავდა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური

- **2021 წელს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა 11 136 ხანძარზე მოახდინა რეაგირება და ჯამში 52 263 სამაშველო ღონისძიება ჩაატარა**
- **2021 წელს შავი ზღვის სანაპირო ზოლზე, ივნისიდან აგვისტოს ჩათვლით, მაშველებმა 328 მოქალაქის სიცოცხლე გადაარჩინეს**

- 2021 წელს, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს იაპონიის საელჩოს ხელშეწყობით 141 268 აშშ დოლარის ღირებულების სახანძრო ავტოკიბე გადაეცა. ასევე, სამსახური აღიჭურვა 10 სხვადასხვა ტიპის ავტოსატრანსპორტო საშუალებით, მათ შორის 2 ერთეული ყველგანმავალი „კვადროციკლით“ (ესტონეთის საელჩოს დახმარებით), რომლებიც ბორჯომის სახანძრო-სამაშველო სამმართველოს გადაეცა;
- 2021 წელს დამტკიცდა 97 633 აშშ დოლარის ღირებულების იაპონური გრანტი, რომლის საფუძველზეც ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს გადაეცემა სახანძრო მანქანა, როგორც ურბანულ, ასევე, ტყის ხანძრებთან ბრძოლის მიზნით;
- ახალი შენობები აშენდა: მარტვილში, წალენჯიხასა და ჩოხატაურში. თანამედროვე შენობები მორგებულია სახანძრო-სამაშველო განყოფილებების საჭიროებებზე და მეხანძრე-მაშველების საქმიანობისთვის კომფორტული პირობებია შექმნილი;
- დასრულდა ოპერატიული მართვის ცენტრის მოდერნიზება-თანამედროვე აპარატურით აღჭურვა და ახალ შენობაში განთავსება;

დაიწყო ახალი სახანძრო-სამაშველო შენობების სამშენებლო სამუშაოები კასპსა და ხულოში. დაიგეგმა ინფრასტრუქტურის მშენებლობა ბორითში:

- დასრულდა სიმულაციის ოთახის და საცოცი კედლის მშენებლობა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის განსაკუთრებულ სიტუაციებზე რეაგირების მთავარი სამმართველოს ბაზის ტერიტორიაზე;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლები აღიჭურვნენ ახალი უნიფორმებით; მყვინთავებისთვის შეძენილ იქნა დამხმარე მაღალი წნევის ბალონები და სხვადასხვა ტიპის წყალზე სამაშველო აღჭურვილობა;
- მაშველები მთელი წლის განმავლობაში ეფექტიანად ახორციელებდნენ უბედურ შემთხვევებზე ოპერატიულ რეაგირებას, ხანძრებსა და სტიქიებთან ბრძოლას;
- გაიმართა არაერთი მასშტაბური, უწყებათშორისი სწავლება. მათ შორის,

ეროვნულ გვარდიასთან დადებული მემორანდუმის საფუძველზე, კახეთის რეგიონში გაიმართა ტყის ხანძრებზე მოქმედების სადემონსტრაციო ორმხრივი სწავლება. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის განსაკუთრებულ სიტუაციებზე რეაგირების მთავარი სამმართველოს ბაზაზე ჩატარდა უწყებათშორისი მასშტაბური სწავლება ქბრბ ინციდენტებზე რეაგირების მიმართულებით;

- საერთაშორისო ექსპერტებისა და ინსტრუქტორების ჩართულობით, 2021 წელს განხორციელდა შემდეგი სწავლებები: ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის თანამშრომლობის ოფისი (US ODC) - სწრაფ წყლებში სამაშველო ოპერაციები; US DTRA - ქბრბ კოლექტიური უნარების განვითარების სწავლება; დანიის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური - ინსტრუქტორთა გადამზადების კურსი; საქართველოში საფრანგეთის საელჩო და საფრანგეთის მეხანძრე-მაშველთა უმაღლესი სკოლა - ტყის ხანძრებზე ინციდენტის მართვის სამეთაურო კურსი; Polish Aid და პოლონეთის მალოპოლსკის რეგიონის საპოლიციო და სახანძრო-სამაშველო სამსახური - საგზაო

უსაფრთხოების გაუმჯობესების ტრენინგები, საქართველოს საპატრულო პოლიციის და კრიზისების მართვის სამსახურების ინსტიტუციური გაძლიერებისთვის". ვარშავის სახანძრო სამსახურის მთავარი სკოლა - საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების (ავარიის) დროს საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარების ინსტრუქტორის მომზადების სასწავლო კურსი;

- სტრატეგიული დაგეგმვისა და ტექნოლოგიური განვითარების დეპარტამენტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამმართველოს პროგრამისტებმა შეიმუშავეს სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის ელექტრონული სისტემა. 2021 წელს, მოთხოვნების შესაბამისად, სისტემას დაემატა სხვადასხვა მნიშვნელოვანი ფუნქცია;

სასაზღვრო პოლიცია

2021 წელს, 2020 წელთან შედარებით, 24% პროცენტით გაზრდილია საზღვრის უკანონოდ კვეთის შემთხვევების გამოვლენის ფაქტები

- სასაზღვრო პოლიციაში ჩატარებული რეორგანიზაციის შედეგად, ადმინისტრაციული თანამდებობების შემცირების ხარჯზე გაიზარდა მესაზღვრეთა პირადი შემადგენლობის რიცხვი, რამაც გააძლიერა სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი;
- აშენდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის 2 სასაზღვრო სექტორი:
  - ✓ ახალციხის სამმართველოს სექტორი „ნიალა“ (დონორი - EXBS, აშშ)
  - ✓ წითელი ხიდის სამმართველოს სექტორი „ჩიჩხიტური“ (სახელმწიფო ბიუჯეტი);
- სასაზღვრო პოლიციის ავტოპარკი გაძლიერდა სატვირთო, წყალმზიდი და მაღალი გამავლობის სატრანსპორტო საშუალებებითა და შესაბამისი სათადარიგო ნაწილებით (დონორი - DTRA, აშშ). ასევე, სახმელეთო საზღვრის დაცვის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სასაზღვრო პოლიციის ავტოპარკს შეემატა მაღალი გამავლობის 30 ავტომანქანა (დონორი - IOM), 7 მსუბუქი და 3 მსუბუქი მაღალი გამავლობის ავტომანქანა (სახელმწიფო ბიუჯეტი);

- სასაზღვრო პოლიციას გადაეცა ორი ერთეული მობილური დაკვირვების სისტემის აღჭურვილობა (დონორი - DTRA);
- განახლდა სასაზღვრო პოლიციის დაკვირვებისა და აღმოჩენის საშუალებები: მახე-კამერები, ბინოკლები, ღამის ხედვის აღჭურვილობა (დონორი - EXBS);
- ცვლილებები განხორციელდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებულ სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესში, რომლითაც დეტალურად განისაზღვრა საქართველოს სახმელეთო საზღვარზე, სასაზღვრო ზონასა და სასაზღვრო ზოლში პირთა ყოფნისა და საქმიანობის განხორციელების საკითხები. აგრეთვე, ცვლილება შევიდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომლის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სახმელეთო მონაკვეთზე დადგენილი სასაზღვრო რეჟიმის დარღვევისთვის დაწესდა განსხვავებული ოდენობის ჯარიმები,

რომელთა ოდენობაც დამოკიდებული იქნება დამრღვევის მიერ ჩადენილ ქმედებაზე. ცვლილებები ძალაში შევა 2022 წლის 1 სექტემბერს;

- სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის აბორდაჟის ტაქტიკურმა ჯგუფებმა გაიარეს NATO-ს ოპერაციული შესაძლებლობების კონცეფციის შეფასებისა და უკუკავშირის პროგრამის (OCC E&F) მეორე დონის შეფასების მეორე საფეხური [NEL-2], რაც 4-წლიანი შეფასების პროგრამის ბოლო ფაზას წარმოადგენს;
- სანაპირო დაცვის დეპარტამენტის სადარაჯო ხომალდმა (P-23) „ოჩამჩირე“ (P-23) გაიარა NATO-ს ოპერაციული შესაძლებლობების კონცეფციის შეფასებისა და უკუკავშირის პროგრამის (OCC E&F) პირველი დონის შეფასების პირველი საფეხური [SEL-1];
- 2021 წელს, შავი ზღვის უსაფრთხოების შესაძლებლობების განვითარების მიზნით, აშშ-საქართველოს ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოში მოვლენილ იქნა საზღვაო უსაფრთხოების ექსპერტი, რომელიც აგრეთვე ხელს შეუწყობს ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის „საზღვაო უსაფრთხოების“ ინიციატივის შესრულებას.
- 2021 წლის განმავლობაში, სანაპირო დაცვამ NATO-ს საზღვაო შენაერთებს საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ორჯერ უმასპინძლა:
  - ✓ 15-18 მარტს ფოთის ნავსადგურს ეწვია NATO-ს მუდმივმოქმედი მეორე საზღვაო შენაერთი (SNMG2) 4 სამხედრო ხომალდის (ესპანეთი, თურქეთი, რუმინეთი და ბულგარეთი) შემადგენლობით. ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა NATO-საქართველოს ერთობლივი საზღვაო წვრთნები;
  - ✓ 27-30 სექტემბერს ბათუმის ნავსადგურს ეწვია NATO-ს მუდმივმოქმედი მეორე

ნაღმსაწინააღმდეგო შენაერთი (SNMCMG2) 5 სამხედრო ხომალდის (ესპანეთი, იტალია, ბულგარეთი, რუმინეთი, თურქეთი) შემადგენლობით. ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა ერთობლივი საზღვაო წვრთნები;

- 2021 წლის განმავლობაში, სანაპირო დაცვამ საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ძალებისა და სანაპირო დაცვის 4 ხომალდს უმასპინძლა, ასევე ჩატარდა ერთობლივი საზღვაო წვრთნები;
- სანაპირო დაცვამ საქართველოს ტერიტორიულ წყლებში გაერთიანებული სამეფოს საზღვაო ძალების ხომალდ HMS DEFENDER-ს უმასპინძლა და ხომალდის ეკიპაჟთან ერთად შავ ზღვაზე ერთობლივი საზღვაო წვრთნები გამართა;
- სანაპირო დაცვის სადარაჯო ხომალდებმა - „ოჩამჩირე“ (P-23) და „დიოსკურია“ (P-25) ასევე აბორდაჟის ტაქტიკურმა ჯგუფებმა მონაწილეობა მიიღეს უკრაინაში გამართულ მრავალეროვნულ სწავლებაში - „SEA BREEZE -2021“;
- სანაპირო დაცვის სადარაჯო ხომალდმა „ოჩამჩირე“ (P-23) მონაწილეობა მიიღო ბულგარეთში გამართულ მრავალეროვნულ საზღვაო სწავლებაში „BREEZE-2021“;
- სანაპირო დაცვის დეპარტამენტის აბორდაჟის ტაქტიკური ჯგუფის 13-მა მოსამსახურემ მონაწილეობა მიიღო კენიის რესპუბლიკის ქალაქ მომბასაში ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ფლოტის (US NAVY AFRICA) ორგანიზებით ჩატარებულ სწავლებაში - „CUTLASS EXPRESS 21“;
- სასაზღვრო ავიაცია რეგულარულად ასრულებს როგორც სასაზღვრო, ასევე სახანძრო და სამაშველო დავალებებს საგანგებო სიტუაციებისას. გარდა ამისა, ახორციელებს სამოქალაქო ავიარეისებს მთის მოსახლეობის დასახმარებლად.

მომსახურების სააგენტო

2021 წლის პირველ აპრილამდე მოქმედი სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო სანომრე ნიშნები ახალი ფორმის სახელმწიფო სანომრე ნიშნებით შეიცვალა. სულ შეიცვალა 120 088 ნომერი, მობილური აპლიკაციის მეშვეობით შეიცვალა 21 558 სანომრე ნიშანი

- 2021 წელს გაიხსნა მომსახურების სააგენტოს რუსთავის ცენტრალური დეპარტამენტის განახლებული, თანამედროვე დიზაინის, უახლესი ინვენტარითა და ტექნიკით აღჭურვილი შენობა;
- რუსთავში აშენდა სატრანსპორტო საშუალების დათვალიერებისა და საექსპერტო შემოწმებისთვის განკუთვნილი ახალი შენობა. შენობა დაყოფილია 12 გამტარ პუნქტად და დაინტერესებულ პირებს საშუალება აქვთ, მსუბუქი სატრანსპორტო საშუალების დათვალიერებისა და საექსპერტო შემოწმებისთვის განკუთვნილ შესაბამის პუნქტებში გადანაწილდნენ. ასევე, ცალკე გამოიყო სატვირთო ავტომობილების დასათვალიერებელი 2 გამტარი პუნქტი;
- მომსახურების სააგენტოს ყველა სტრუქტურულ ერთეულში განახლდა საგამოცდო მანქანების ავტოპარკი. მართვის უფლების მიღების მსურველები „B“ კატეგორიის პრაქტიკულ გამოცდას თანამედროვე, GPS სისტემით აღჭურვილი, „SKODA RAPID“-ის მოდელის სატრანსპორტო საშუალებებით აბარებენ;

- მომსახურების სააგენტოს ყველა სტრუქტურულ ერთეულში, სადაც პრაქტიკული გამოცდის ჩაბარებაა შესაძლებელი, ინფრასტრუქტურისა და სერვისის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საგამოცდო მოედნების ტექნიკური და ინფრასტრუქტურული სამუშაოები განხორციელდა;
- გორში გაიხსნა მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდისათვის განკუთვნილი ახალი მოედანი;
- მოტოპარკი განახლდა "KAWASAKI"-ს მარკის 16 მოტოციკლით. ახალი მოტოციკლები სრულად შეესაბამება ევროსტანდარტებს და აღჭურვილია ყველა საჭირო დამცავი მექანიზმით, რაც საგამოცდო პროცესის უსაფრთხოდ ჩატარებას უზრუნველყოფს. დაინტერესებულ პირებს "A"/"A1"/"A2"კატეგორიისა და ქვეკატეგორიის მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის ჩაბარება, მთელი ქვეყნის მასშტაბით, მომსახურების სააგენტოს ყველა სტრუქტურულ ერთეულში შეუძლიათ.

- მომსახურების სააგენტოს ყველა სტრუქტურული ერთეული აღიჭურვა სანომრე ნიშნების საბეჭდი აპარატებით. სატრანსპორტო საშუალებების სარეგისტრაციო სანომრე ნიშნების ადგილზე დამზადება მომსახურების სააგენტოს ყველა სერვისცენტრშია შესაძლებელი, რაც აქამდე მხოლოდ რუსთავის, თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის სამსახურებში ხორციელდებოდა;
- მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებისთვის შეიქმნა ახალი დიზაინის უნიფორმა;
- დამტკიცდა იარაღის ახალი სარეგისტრაციო მოწმობა, რაც უფრო დაცულს და სრულყოფილს ხდის აღნიშნულ დოკუმენტს. დიზაინის ცვლილებასთან ერთად, იარაღის ახალი ფორმის სარეგისტრაციო მოწმობაში აისახება სრულყოფილი სარეგისტრაციო ინფორმაცია, ასევე, მოწმობას გააჩნია მეტი დამცავი ნიშანი, რაც დოკუმენტს ხდის მაქსიმალურად დაცულს გაყალბების მცდელობისგან;
- დაინერგა ელექტრონული აპოსტილის სისტემა, კერძოდ სააგენტოს მიერ

დამზადებული/გაცემული ელექტრონული დოკუმენტის (მათ შორის თარგმანის) დამოწმება შესაძლებელია ელექტრონული აპოსტილით. მიმდინარეობს ელექტრონული აპოსტილის ვებგვერდის ადაპტაცია;

- გამარტივდა მართვის მოწმობის მიღებისას საცხოვრებელი მისამართის მითითების სავალდებულო წესი. თუ დაინტერესებულ პირს საქართველოში არ გააჩნია რეგისტრაციის ან დროებითი რეგისტრაციის ადგილი, ან იგი რეგისტრირებულია მისამართის მითითების გარეშე, შესაძლებელია, საცხოვრებელ ადგილად აისახოს მის მიერ ზეპირი ან წერილობითი ფორმით მითითებული ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი;
- გამარტივდა საქართველოს მოქალაქეზე (მათ შორის ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირზე) უცხო ქვეყანაში გაცემული სატრანპორტო საშუალების მართვის მოწმობის შეცვლის პროცედურა. კერძოდ, თუკი პიროვნება მართვის მოწმობის მიღების დროს იყო იმ უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელმაც გასცა მასზე მართვის მოწმობა, ან თუ შესაცვლელი მართვის მოწმობა

გაცემულია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ, მას მართვის მოწმობის შეცვლისას აღარ უწევს იმ დოკუმენტის წარდგენა, რომლითაც დასტურდება, რომ პირი მართვის მოწმობის მიღებამდე იმყოფებოდა უწყვეტად - 12 თვის განმავლობაში (სულ მცირე 185 კალენდარული დღე) უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე;

- სატრანსპორტო საშუალების სარეგისტრაციო პროცესი უფრო მოქნილი გახდა, კერძოდ: ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ სამართალდარღვევის ფაქტზე დაკისრებული ჯარიმის და ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობისათვის დარიცხული საურავის გადაუხდელობა აღარ წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციაში ცვლილება/გადაფორმების შემაფერხებელ გარემოებას;
- საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, 2021 წლის 6 დეკემბრიდან შესაძლებელი გახდა მოპედის და მსუბუქი კვადროციკლის რეგისტრაცია სააგენტოში;

- საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, 2021 წლის 6 დეკემბრიდან სააგენტომ დაიწყო ისეთი მომსახურებების ადგილზე ან/და დაჩქარებულ რეჟიმში გაწევა, როგორიცაა: დაინტერესებული პირის მოთხოვნით სატრანსპორტო საშუალების საიდენტიფიკაციო ნომრის, სატრანსპორტო საშუალების/ნომრიანი აგრეგატის სააღრიცხვო ნომრის დადამღვა სააგენტოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ; სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის 1 სამუშაო დღეში გაცემა;
- საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, 2021 წლის 6 დეკემბრიდან სააგენტოს მიერ ხორციელდება „AM“ და „A2“ კატეგორიის/ქვეკატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭება, კერძოდ: სააგენტო უზრუნველყოფს დაინტერესებული პირის მიერ თეორიული გამოცდების წარმატებით ჩაბარების შედეგად, სატრანსპორტო საშუალების AM კატეგორიის მინიჭებას, ხოლო სატრანსპორტო საშუალების A2

ქვეკატეგორიის მინიჭება შესაძლებელია თეორიული და პრაქტიკული გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში. აღნიშნული ცვლილებების იმპლემენტაციის მიზნით, მომზადდა აღნიშნული კატეგორია/ქვეკატეგორიის მისაღები წესი და პირობები;

- დაინერგა ავტომანქანების ექსპერტიზის/დათვალიერების და საბაჟო ოპერაციების ახალი სისტემა.

განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი

- გაუქმდა ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში შემავალი სპეციალური ოპერაციების სამმართველო და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ბაზაზე ჩამოყალიბდა სპეციალური ოპერაციების მთავარი სამმართველო. შესაბამისი პროგრამების მიხედვით მოხდა თანამშრომელთა გადამზადება, სრულად განახლდა უნიფორმა, აღჭურვილობა და შეიარაღების სისტემები. სპეციალური ოპერაციების მთავარ სამმართველოს დებულებით განესაზღვრა ანტიკრიმინალური სპეციალური ოპერაციების ჩატარება მთელი საქართველოს მასშტაბით;
- განახლდა ავტოპარკი;
- სრულად განახლდა მსუბუქი შეიარაღება. საბრძოლო დანაყოფებს გადაეცათ მეხუთე თაობის „გლოკ 17“-ის ტიპის პისტოლეტები და პისტოლეტ-ტყვიამფრქვევები;
- კახეთის რეგიონში (ძიბახევი) აშენდა და სრულად აღიჭუვა ახალი შენობა;
- სამმართველოებში განახლდა ინფრასტრუქტურა, გარემონტდა და ახალი ინვენტარით აღიჭურვა 90-კაციანი ყაზარმა; მოეწყო სპორტდარბაზები;

- პროფესიული უნარ-ჩვევების და საბრძოლო მზადყოფნის დონის ამაღლების კუთხით:
  - ✓ გდდ-მ მონაწილეობა მიიღო თავდაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ სწავლებებში: „დიდგორი 2021“ და „ბასიანი“;
  - ✓ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ქიმიურ, ბიოლოგიურ, რადიაციულ და ბირთვულ (ქბრბ) ინციდენტებზე რეაგირების სამმართველოს მაშველებმა, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის და სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ქბრბ საფრთხეებზე რეაგირების კოლექტიური უნარების განვითარების სწავლებაში. სწავლება განხორციელდა DTRA-ს მხარდაჭრით.

საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტი

საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტში 2021 წელს შესრულდა 42 268 ექსპერტიზა. აქედან:

ბალისტიკური ექსპერტიზა	2421
ნარკოტიკული საშუალებების ქიმიური ექსპერტიზა	5786
სხვადასხვა სახის ქიმიური ექსპერტიზა	1769
დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა	4053
სხვადასხვა სახის ტრასოლოგიური ექსპერტიზა	15182
ეკონომიკური, საინჟინრო და სასაქონლო ექსპერტიზა	4349
ოდოროლოგიური ექსპერტიზა	759
გრაფიკული და დოკუმენტების ტექნიკური ექსპერტიზა	1367

ექსპერტ-კრიმინალისტებმა მონაწილეობა მიიღეს 28 000-მდე სხვადასხვა სახის საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებში, რომელთა შედეგადაც მოპოვებულია 73 000-მდე სხვადასხვა სახის მტკიცებულება

- საექსპერტო-კრიმინალისტიკურმა დეპარტამენტმა საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა დროს ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად ნივთმტკიცებად ამოღებული ნარკოტიკული საშუალებები გაანადგურა, რომელთა საერთო ღირებულება „შავ ბაზარზე“, დაახლოებით, 34 მილიონ ლარს შეადგენს;
- საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტი, კორონავირუსის შემთხვევის გამოვლენის მიზნით, დეპარტამენტის ბაზაზე არსებულ გენეტიკურ ლაბორატორიაში მთელი წლის განმავლობაში უზრუნველყოფდა ახალი კორონავირუსის PCR ტესტირებას შსს-ს თანამშრომელთათვის;
- საექსპერტო-კრიმინალისტიკურმა დეპარტამენტმა საერთაშორისო

სტანდარტ ISO17025:2017-ის მიხედვით, თბილისსა და ბათუმში ექსპერტიზის კიდევ 2 ლაბორატორიის აკრედიტაცია განახორციელა;

- საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარატმენტს ამერიკის საელჩოს INL-ის პროგრამამ გადასცა სხვადასხვა ბალისტიკური ინვენტარი, მათ შორის: ბაროსკოპი, ბალისტიკური ქრონოგრაფი, იარაღის დასაშლელი კომპლექტი და სხვადასხვა პირადი დამცავი აღჭურვილობა. გადმოცემული ინვენტარი გათვლილია როგორც თბილისის, ასევე რეგიონული დანაყოფების ბალისტიკური ლაბორატორიებისათვის;
- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით, დეპარტამენტს გადაეცა უახლესი Foster&Freeman-ის წარმოების ვიდეოსპექტრალური კომპარატორი, Leica-ს წარმოების სტერეო მიკროსკოპი და Regula-ს წარმოების ფლუროსცენტული მიკროსკოპი. აპარატურა განკუთვნილია დოკუმენტების

ტექნიკური ექსპერტიზისთვის, სხვადასხვა სახის საერთაშორისო დოკუმენტის (პასპორტების, პირადობის მოწმობების, მართვის მოწმობების, ბანკნოტების) გამოსაკვლევად და მათზე შესაძლო გაყალბების ნიშნის აღმოსაჩენად. აპარატურა გადაეცა საექპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის დოკუმენტების ტექნიკური ექსპერტიზის ქუთაისის ლაბორატორიას;

- ევროკავშირის მხარდაჭერით და პროექტის “SAFE”-ის ფარგლებში გაეროს პროექტების მომსახურების ოფისთან (UNOPS) პარტნიორობით, საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტს გადმოეცა გაზური ქრომატოგრაფ/მას-სპექტრომეტრის სისტემა, რომელმაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერებების იდენტიფიცირების და ახალი მეთოდების ვარგისიანობის განსაზღვრის პროცესი ქიმიურ ექსპერტიზაში;
- საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტში გაცნობითი ხასიათის ვიზიტით იმყოფებოდა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის თანაშემწე ერიკა ოლსონი, რომელიც კურირებს სამხრეთ ევროპისა და კავკასიის რეგიონს.

ადამიანის უფლებების დაცვა

- 2021 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისთვის მსჯავრდებულ პირთა მონიტორინგი. ამ მიზნით, მიღებულ იქნა შესაბამისი კანონმდებლობა და აქტიურად დაიწყო მისი აღსრულება;
- ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი აწარმოებს შრომის უსაფრთხოების სფეროში არსებული დანაშაულების ეფექტიანი გამოძიების მონიტორინგს;
- შემუშავდა სახელმძღვანელო - „თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია და დუმილის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ჭრილში“;
- მომზადდა ინსტრუქცია სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის მექანიზმების შესახებ;
- მომზადდა და პოლიციელთათვის ხელმისაწვდომი გახდა შემდეგი რეკომენდაციები:
  - ✓ შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და ოქმის შედგენის შესახებ;
  - ✓ გამოძიების ეტაპზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანთა ეფექტიანი ჩართულობის შესახებ;
  - ✓ გამოძიების ეტაპზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ეფექტიანი ჩართულობის შესახებ;
- დეპარტამენტის ინიციატივით განხორციელდა კამპანია - „ნუ წაართმევ ბავშვობას“. კამპანიის ფარგლებში თანამშრომლები შეხვდნენ სკოლის მოსწავლეებს, სამედიცინო პერსონალს, მასწავლებლებს, სტუდენტებს და სხვა რელევანტურ პირებს, მთელი საქართველოს მასშტაბით. შეხვედრებზე განიხილებოდა ნაადრევი ქორწინებისა და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები, როგორც სამართლებრივ, ასევე სოციალურ ჭრილში;
- პოლიციელთათვის ჩატარდა ტრენინგები სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ეფექტიანი გამოძიებისა და მოტივის იდენტიფიცირების საკითხებზე;
- 2021 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით დაიწყო სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე გამომძიებელთა სპეციალიზაცია, რომლის ფარგლებშიც სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული და სტრუქტურული ერთეულების 232 პოლიციელს სპეციალიზებული გამომძიებლის სტატუსი მიენიჭა;
- მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის 2021 წლის სამოქმედო გეგმა, ასევე შეიქმნა საკონსულტაციო ჯგუფი, რომლის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების კოორდინაცია დაევალა ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტს. გეგმის იმპლემენტაცია ხორციელდება საერთაშორისო ორგანიზაცია UNDP-ის მხარდაჭერით;

- 2020 წელს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტმა სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის მონიტორინგი დაიწყო, რაც ცხოველის წამებას და მისდამი სასტიკ მოპყრობას გულისხმობს. მონიტორინგის შედეგად, 259-ე მუხლით დაწყებულ სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიების ხარისხი ამაღლდა, რაც ასევე გამოიხატა სისხლისსამართლებრივი დევნის გაზრდაში.

დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტი

- გაიხსნა გურჯაანის დროებითი მოთავსების იზოლატორი, სადაც ასევე მოეწყო და ამოქმედდა სამედიცინო პუნქტი. იზოლატორი სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, კერძოდ, თითოეული დაკავებულისთვის უზრუნველყოფილია დროებითი მოთავსების სივრცის მინიმალური სტანდარტი, იზოლატორები აღჭურვილია თანამედროვე ვიდეოსამეთვალყურეო ტექნიკით და მორგებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებებზე;
- 2021 წლის ივლისიდან, იზოლატორში დაკავებულის შემოყვანისას ხორციელდება დაკავებული პირის ანტიგენის (SARS-CoV-2Ag) ტესტირება. თუ დაკავებულს იზოლატორში ყოფნისას ვირუსისთვის დამახასიათებელი სიმპტომები გამოუვლინდება, ტესტირება კეთდება განმეორებითაც. ტესტირება შესაძლებელია

21 იზოლატორში. დანარჩენ 9 იზოლატორში დაკავებულის შეყვანისას, ან იქ ყოფნისას სიმპტომის გამოვლენის შემთხვევაში, COVID-19-ზე ტესტირებისთვის ან შესაბამის დაწესებულებაში გადაყვანის მიზნით, იძახებენ სასწრაფო-სამედიცინო ბრიგადას;
- წლის განმავლობაში რამდენჯერმე განახლდა ავტოპარკი.

მიგრაციის დეპარტამენტი

- მიგრაციის დეპარტამენტში განხორციელდა რეორგანიზაცია, რომლის საფუძველზეც გაძლიერდა ქვეყანაში უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და საერთაშორისო დაცვის მიმართულებები;
- 2021 წელს საქართველოდან უცხოელის გაძევების თაობაზე 77 გადაწყვეტილება აღსრულდა;
- 2021 წელს დროებითი განთავსების ცენტრში მოთავსდა 37 უცხოელი;
- 2021 წელს, საქართველოს მიერ გაფორმებული რეადმისიის ხელშეკრულებების ფარგლებში, მიგრაციის დეპარტამენტმა განიხილა რეადმისიის განაცხადი 2547 პირზე, აქედან დადებითი გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2504 პირზე, ხოლო უარყოფითი – 43 პირზე;
- 2021 წელს 743-მა პირმა მოითხოვა საქართველოში საერთაშორისო დაცვა;
- 2021 წელს ლტოლვილის სტატუსი მიენიჭა 21 პირს, ჰუმანიტარული - 75 პირს, 426 პირს უარი ეთქვა სტატუსის მინიჭებაზე;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ორგანიზებით განხორციელდა თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრის ბენეფიციართა და თანამშრომელთა ვაქცინაცია;
- დროებითი განთავსების ცენტრში მოეწყო ექიმების სამანიპულაციო ოთახი, ცენტრში მოთავსებული პირებისთვის შენობის გარეთ მოეწყო სასეირნო სივრცე, ასევე, მოეწყო ახალი საკარანტინე სივრცე;
- გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) მხარდაჭერით, თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში დაიწყო ბავშვთა გასართობი დამატებითი გარე სივრცეებისა და ფიზიკური დატვირთვისთვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები.

დაცვის პოლიცია

- 2021 წელს დაცვის პოლიციაში მნიშვნელოვნად განახლდა ავტოპარკი. შეძენილია: ოპერატიული რეაგირების ჯგუფების და მოძრავი ტვირთების დაცვა-გაცილებისათვის 25 ერთეული მსუბუქი ავტომანქანა, 30 ერთეული ოპერატიული დანიშნულების სპეციალიზებული პიკაპი, 1 სპეციალიზებული სატვირთოს ტიპის დაჯავშნილი ავტომანქანა, 8 დაჯავშნილი „ფორდის“ და 2 „ივეკოს“ მარკის ავტომობილი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს გადასცა 2 ერთეული „ფორდ ინტერსეპტორის“ მარკის ავტომანქანა;
- ფუნქციონირება დაიწყო გურჯაანის განყოფილების შენობამ;
- კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა ქობულეთის დაცვის პოლიციის განყოფილებას;
- დაცვაში არსებულ ობიექტებთან რეგიონული სამმართველოების და

ცენტრალური მართვის პულტთან ოპერატიული რეაგირების ჯგუფების კავშირის გაუმჯობესების მიზნით, 2021 წელს შეძენილია „MOTOROLA TETRA“-ს სისტემის შემდეგი მოწყობილობები: 10 ცალი საბაზო რადიოსადგური, 90 ცალი საავტომობილო რადიოსადგური, 450 ცალი ხელის რადიოსადგური.

სტრატეგიული მიღსადენების დაცვის დეპარტამენტი

- ბორჯომის მუნიციპალიტეტში დასრულდა ტაბაწყურის ბაზის მშენებლობა. ბაზა აღიჭურვა ანალიტიკური ფუნქციის მქონე ციფრული სამეთვალყურეო ვიდეოსისტემებით;
- მოეწყო ახალი საგუშაგოები;
- ცხრაწყაროსა (ბორჯომის მუნიციპალიტეტი) და წალკაში დეპარტამენტის ბაზებზე ჩატარდა სარემონტო სამუშაოები;
- დეპარტამენტის პირადი შემადგენლობისთვის შეძენილ იქნა „HAIX“-ის ტიპის ზამთრისა და ზაფხულის მაღალყელიანი ფეხსაცმელები და სამთო აღჭურვილობა;
- დეპარტამენტს სამინისტროსგან გადაეცა 4 ერთეული „Mistubishi L200“;
- წლის განმავლობაში სტრატეგიული მილსადენების დეპარტამენტის თანამშრომლებმა გაიარეს სხვადასხვა ტიპის სწავლებები:
  - ✓ უწყებათშორისი სამეთაურო-საშტაბო სწავლება „დიდგორი 2021”, რომელიც მოიცავდა საშტაბო და საველე კომპონენტებს. სწავლება საომარ და კრიზისულ სიტუაციაში სამთავრობო უწყებებს შორის კოორდინაციის გაღრმავებისა და ურთიერთქმედების დახვეწას ემსახურება;
  - ✓ სამეთაურო-საშტაბო სამმხრივი სწავლება „ETERNITY-2021“, რომლის სცენარი ემყარება სამშვიდობო ოპერაციებს, რომლებიც კრიზისული სიტუაციის დროს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის უსაფრთხოების დაცვას, ასევე, აზერბაიჯანულ, თურქულ და ქართულ სამხედრო ქვედანაყოფებს შორის ურთიერთთავსებადობის ამაღლებას ითვალისწინებს;
  - ✓ სწრაფი რეაგირების სამმართველოს თანამშრომლებმა გაიარეს სამთო მომზადების ზაფხულის საბაზისო კურსი, თავდაცვის სამინისტროს პოლკოვნიკ ბესიკ ქუთათელაძის სახელობის საჩხერის სამთო მომზადების სკოლაში.

საკანონმდებლო ცვლილებები

- 2021 წელს პარლამენტმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტი დაამტკიცა - გამკაცრდა სასჯელი ნარკორეალიზატორების მიმართ. საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, ნარკოტიკული საშუალების გასაღებისთვის მინიმალურ სასჯელად განისაზღვრა 10 წლიდან თავისუფლების აღკვეთა. ნარკოტიკული საშუალების დიდი ოდენობით გასაღების შემთხვევაში, ქმედების ჩამდენი პირის მიმართ, სასჯელის სახით განისაზღვრა 12-დან 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთა, ხოლო განსაკუთრებით დიდი ოდენობის შემთხვევაში - 14-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთა;
- საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის მექანიზმის დანერგვას ითვალისწინებს. ცვლილებების თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი განახორციელებს სამართალწარმოების პროცესში მოწმის/დაზარალებულის მხარდაჭერას. გარდა ამისა, კოორდინატორი მოწმეს და დაზარალებულს დაეხმარება საგამოძიებო ორგანოებთან ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარებაში. საჭიროების შემთხვევაში, მოწმეს და დაზარალებულს შესთავაზებს სახელმწიფოში არსებულ სერვისებს და დაეხმარება ამ სერვისებში ჩართვის პროცესში;
- საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა მართვის მოწმობის გამოცდის რეალურ პირობებში ჩაბარების და მოპედების რეგისტრაციის შესახებ კანონში შესატანი ცვლილება. ცვლილების შედეგად, მოპედი დაექვემდებარება კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაციას და მის სამართავად პირს სავალდებულოდ დასჭირდება ახალი - „AM“ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის აღება. მოპედის მართვის უფლების მოსაპოვებლად მინიმალური ასაკობრივი ზღვარი განისაზღვრა 16 წლით. კანონპროექტის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სიახლეს წარმოადგენს მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის რეფორმაც. პროექტის თანახმად, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მისაღები გამოცდის პრაქტიკული ნაწილი ხდება ორეტაპიანი. პირველი ეტაპი ჩატარდება დახურულ საგამოცდო მოედანზე, ხოლო მეორე ეტაპი - რეალური საგზაო მოძრაობის პირობებში;
- საქართველოს პარლამენტმა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მიერ გაცემული დიპლომების აღიარებისა და მათი მაგისტრის ხარისხთან გათანაბრების შესახებ საკანონმდებლო ცვლილება მიიღო;
- საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი, რომლის მიხედვით, მოქალაქეებს „112“-ის წინაშე დაგროვილი დავალიანება ჩამოეწერათ. იმ პირებმა, რომელთა ავტომობილიც „112“-ის დაცულ ავტოსადგომზე 2020 წლის სექტემბრამდე განთავსდა და 2021 წლის ივნისამდე ვერ გაიყვანეს, დაკისრებული დავალიანების ნაცვლად, 100 ლარად შეძლეს ავტომობილის სადგომიდან გაყვანა;
- კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომლის მიღების შედეგად, საქართველოს კანონმდებლობა დაუახლოვდება „კიბერდანაშაულის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციას, რაც ხელს შეუწყობს კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლას.

ცვლილების თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა ორი ახალი მუხლი. პირველი - 286-ე პრიმა მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფის შემთხვევაში. აღნიშნული დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ გათვალისწინებულია უფრო მკაცრი სასჯელი, ვიდრე სხვა კიბერდანაშაულებისათვის. მეორე - სისხლის სამართლის კოდექსს ემატება 286[2] მუხლი, რომელიც ყალბი კომპიუტერული მონაცემის შექმნისთვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

- ცვლილებები განხორციელდა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელთა მიზანს პოლიციის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა წარმოადგენს. ცვლილების თანახმად, სპეციალური ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, პოლიციას მიეცა შესაძლებლობა, პირის იდენტიფიცირება ადგილზევე მოახდინოს და მისი მონაცემები გადაამოწმოს სამინისტროს ერთიან საინფორმაციო-ანალიტიკურ ბაზებში.

საერთაშორისო ურთიერთობები
ევროკავშირთან და ნატოსთან თანამშრომლობა

EU

- საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლა საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარია. უვიზო მიმოსვლის ამოქმედებიდან მილიონზე მეტი ვიზიტი განხორციელდა ევროკავშირის/შენგენის ზონის ქვეყნებში. საქართველოს მოქალაქეების ევროკავშირის/შენგენის ზონის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის წარმატებით გაგრძელების ხელშეწყობის მიზნით, 2021 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონში – "საქართველოს მოქალაქეების საქართველოდან გასვლისა და საქართველოში შემოსვლის წესების შესახებ" ცვლილებები ამოქმედდა;
- ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების კუთხით, ევროკომისიისა

და ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახურის 2021 წლის 5 თებერვლის ერთობლივ ანგარიშში პოზიტიურად არის შეფასებული შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული ღონისძიებები საზღვრის მართვის გაძლიერების, არალეგალური მიგრაციისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით;
- 2021 წლის 4 აგვისტოს ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში დადებითად შეფასდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ვიზალიბერალიზაციის ვალდებულებების განხორციელება რეადმისიის შეთანხმების ეფექტიანად განხორციელების, 2021 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული საკანონმდებლო ცვლილების წარმატებით განხორციელების, პოლიციის ატაშეების საქმიანობის, Frontex-თან და Europol-თან წარმატებული თანამშრომლობის კუთხით;
- შინაგან საქმეთა მინისტრმა და ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტოს (FRONTEX) აღმასრულებელმა დირექტორმა ხელი მოაწერეს განახლებულ სამუშაო შეთანხმებას. დოკუმენტი არსებული თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების შესაძლებლობას იძლევა, ერთობლივი რისკების ანალიზისა და ინფორმაციის მიმოცვლის მექანიზმის შემუშავებისა და ერთობლივ და დაბრუნების ოპერაციებში აქტიური მონაწილეობის გზით.

NATO

- შინაგან საქმეთა სამინისტრო ეფექტიანად ახორციელებს ნატო-საქართველოს თანამშრომლობის მექანიზმებით გათვალისწინებულ რეფორმებს. ნატომ პოზიტიურად შეაფასა წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) ფარგლებში სამინისტროში დაგეგმილი და მიმდინარე

რეფორმები. ასევე, ნატოს საერთაშორისო სამსახურმა შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, დაგეგმვისა და მიმოხილვის პროგრამის (PARP) ორი პარტნიორობის მიზანი (PG) დახურა;
- საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობს ნატოს ადგილობრივ და საერთაშორისო პროგრამებთან. ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამა (NATO-Professional Development Programme) მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამინისტროს თანამშრომლების შესაძლებლობების განვითარებისა და რეფორმების განხორციელების პროცესში. ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამის მხარდაჭერით საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურსა და შსს-ს აკადემიაში წარმატებით მიმდინარეობს ადამიანური რესურსების მართვის რეფორმა.

შეთანხმებები/მემორანდუმები

2021 წლის განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტრომ სხვადასხვა ქვეყანასთან თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან გააფორმა შემდეგი სახის შეთანხმებები/ მემორანდუმები:

- ურთიერთგაგების მემურანდუმი "საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ლიეტუვის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის 2021-2022 წლებში შინაგან საქმეთა სფეროში თანამშრომლობის შესახებ";
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ჩეხეთის რესპუბლიკის უსაფრთხოების ძალების გენერალურ ინსპექტორატს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და არაბთა გაერთიანებული საემიროების შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის პოლიციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმი;
- „საქართველოს მთავრობასა და მონტენეგროს მთავრობას შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ" შეთანხმება.



თანამშრომლობა დონორებთან

- ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამის – „უსაფრთხოების, ანგარიშვალდებულებისა და საქართველოში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა" (SAFE) – ფარგლებში, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ (IOM), ინტეგრირებული საზღვრის მართვის (SAFE IBM) პროექტის ფარგლებში, სასაზღვრო პოლიციას გადასცა მაღალი გამავლობის მანქანები;
- ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამა "SAFE" -ის „უსაფრთხოების, ანგარიშვალდებულებისა და საქართველოში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გაეროს პროექტების მომსახურების ოფისი (UNOPS), საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტს გაზის ქრომატოგრაფ/მას-სპექტომეტრის სისტემა გადაეცა;
- ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამის – „უსაფრთხოების, ანგარიშვალდებულებისა და საქართველოში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა" (SAFE) – ფარგლებში, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ (IOM) საზოგადოებრივი უსაფრთხოების ცენტრ „112"-ს სახის ამომცნობი კამერები გადასცა;
- ევროკავშირის დაფინანსებით, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ (IOM) პროექტის – „საქართველოში საზღვრისა და მიგრაციის მართვის მდგრადობის უზრუნველყოფა (SBMMG)" – ფარგლებში, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს პასპორტის წამკითხველები გადასცა;
- ევროკავშირის დაფინანსებით, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ (IOM) პროექტის – „საქართველოში საზღვრისა და მიგრაციის მართვის მდგრადობის

უზრუნველყოფა (SBMMG)“ – ფარგლებში, საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტს დოკუმენტების ნამდვილობის შემოწმებისათვის განკუთვნილი აღჭურვილობა გადასცა;

- ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამის – „უსაფრთხოების, ანგარიშვალდებულებისა და საქართველოში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა“ (SAFE) – ფარგლებში, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ (IOM) პროექტის – „ინტეგრირებული საზღვრის მართვა“ (SAFE IBM) – ფარგლებში შსს-ს აკადემიას პასპორტის წამკითხველები გადასცა;
- აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიურომ (INL) საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტს ექსპერტიზის სპეციალური აღჭურვილობა გადასცა;
- აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიურომ (INL) საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს საგზაო მოძრაობის უსაფრთხებისთვის საჭირო აღჭურვილობა გადასცა;

- აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის საერთაშორისო ბიუროს (INL) მიერ შსს-ს აკადემიას ელექტრონული სწავლების სპეციალური აღჭურვილობა გადაეცა;
- ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს რეგიონული უსაფრთხოების ოფისმა (RSO) საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს დოკუმენტების ინსპექტირების აღჭურვილობა გადასცა;
- გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისთან პარტნიორობით, შვედეთის მხარდაჭერით განხორციელდა კამპანია „ნუ წაართმევ ბავშვობას“;
- ინიცირდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამა „HORIZON“-სა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის თანამშრომლობა;
- დაიწყო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „ოპერატიული და სასწავლო პარტნიორობა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა“;
- სხვადასხვა დონორის დაფინანსებით მომზადდა საინფორმაციო/სოციალური ვიდეორგოლები შემდეგ საკითხებზე: საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება; შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწმეთა

და დაზარალებულთა კოორდინატორის სამსახური; ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის კამპანია; ვიდეორგოლი ოჯახში ძალადობის დროს „112“-ისთვის მიმართვიანობაზე;

- 2021 წელს დონორული დახმარებით გადამზადდა შინაგან საქმეთა სამინისტროს 2000-მდე თანამშრომელი.

მნიშვნელოვანი შეხვედრები

- 11.02.2021 – ვიდეოკონფერენცია გაიმართა ვახტანგ გომელაურსა და ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტოს (Frontex) აღმასრულებელ დირექტორ ფაბრის ლეგერს შორის. ვიდეოკონფერენციის ფარგლებში ხელი მოეწერა ახალ სამუშაო შეთანხმებას;
- 24.04.2021 – ვიდეოკონფერენცია შედგა ვახტანგ გომელაურსა და ლიეტუვის რესპუბლიკის შს მინისტრ აგნე ბილოტაიტეს შორის. ვიდეოკონფერენციის ფარგლებში ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს - „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ლიეტუვის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის 2021-2022 წლებში შინაგან საქმეთა სფეროში თანამშრომლობის შესახებ“;
- 25.05.2021 – ვახტანგ გომელაური შეხვდა ჩეხეთის რესპუბლიკის უსაფრთხოების ძალების გენერალური ინსპექტორატის უფროსს. შეხვედრის ფარგლებში ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს - „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ჩეხეთის რესპუბლიკის უსაფრთხოების ძალების გენერალურ ინსპექტორატს შორის“;
- 15.06.2021 – ვახტანგ გომელაური შეხვდა პოლონეთის ეროვნული პოლიციის მთავარი კომენდანტის მოადგილეს, გენერალ-მაიორ პაველ დობროჯეისა და პოლონეთის ელჩს, მარიუშ მაშკევიჩს;
- 26.06.2021 – გაერთიანებული სამეფოს საზღვაო ძალების სამხედრო-გამანადგურებელი გემის „HMS Defender“ ვიზიტი ბათუმის პორტში. ვიზიტის ფარგლებში, ვახტანგ გომელაურს საქართველოში ბრიტანეთის ელჩმა, მარკ კლეიტონმა და ხომალდის მეთაურმა, II რანგის კაპიტანმა ვინს ოუენმა უმასპინძლეს;

- 08.07.2021 – ვიდეოკონფერენცია გაიმართა ვახტანგ გომელაურსა და არაბთა გაერთიანებული საემიროების პრემიერ-მინისტრის მოადგილეს, შინაგან საქმეთა მინისტრ, შეიხ სეიფ ბინ ზაიედ ალ ნაჰიანს შორის. ვიდეოკონფერენციის ფარგლებში

ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და არაბთა გაერთიანებული საემიროების შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის პოლიციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“;

- 28.07.2021 – ვახტანგ გომელაური შეხვდა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს, რიკ დემსს;
- 03.12.2021 – ვახტანგ გომელაური შეხვდა საქართველოში ნატოს სამეკავშირეო ოფისის ხელმძღვანელს, როზარია პუგლისს;
- 08.12.2021 – სომხეთის რესპუბლიკის პოლიციის უფროსის, ვაჰე ღაზარიანისა და სომხეთის რესპუბლიკის პოლიციის დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია

- 2021 წელს შსს-ს აკადემიამ სხვადასხვა მიმართულებით მოამზადა 6 486 მსმენელი. მათ შორის:
  - 80 გამომძიებელი
  - 84 პატრულ-ინსპექტორი
  - 81 უბნის ინსპექტორი
  - 108 მესაზღვრე-კონტროლიორი
  - 534 მესაზღვრე
  - 42 მართლწესრიგის ოფიცერი
  - 124 მეხანძრე-მაშველი
- პოლიციის 272-მა თანამშრომელმა გაიარა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის განმახორციელებელი სპეციალიზებული პროგრამა;
- 58-მა პოლიციელმა გაიარა შსს-ს თანამშრომელთა თანამდებობრივი დაწინაურების საგანმანათლებლო პროგრამა;
- 192-მა თანამშრომელმა გაიარა ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების კურსი;
- საცეცხლე მომზადებაში გადამზადდა 574 დაცვის პოლიციელი;
- 2021 წელს აკადემიამ ასევე მოამზადა სხვადასხვა უწყების თანამშრომლები, კერძოდ:
  - ✓ სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულება მანდატურის სამსახურის 485 მანდატური;
  - ✓ საბანკო მომსახურების საინკასაციო სამსახურის 41 თანამშრომელი;
  - ✓ დაცული ტერიტორიების სააგენტოს 40 თანამშრომელი;
- 2021 წლის განმავლობაში, აკადემიაში პროფესიული მომზადების სამმართველოს მიერ შემუშავდა - 13 და განახლდა 15 საგანმანათლებლო პროგრამა;
- 2021 წელს ჩატარდა 44 საერთაშორისო დონის ტრენინგი/სემინარი/კონფერენცია,

ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო აკადემიის 29 თანამშრომელმა;

- მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, 2022 წლიდან აკადემიაში საბაზისო სასწავლო პროგრამაზე მიღება განხორციელდება წლის განმავლობაში სამ ეტაპად. თითო ეტაპზე შესაძლებელი იქნება 6 საბაზისო ჯგუფის მიღება.

სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი

სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი მთელი წლის განმავლობაში, უწყვეტ რეჟიმში აწარმოებდა როგორც გარე, ასევე შიდა კომუნიკაციას, იყენებდა სხვადასხვა არხს, ინსტრუმენტებსა თუ შესაძლებლობებს (შსს-ს ვებ-გვერდი, სოციალური ქსელები - FACEBOOK, TWITTER, INSTAGRAM, YOUTUBE).

საზოგადოებასთან დროული და სწორი კომუნიკაციის დასამყარებლად სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი ადგენდა როგორც მოკლევადიან, ასევე, გრძელვადიან გეგმებს. 2021 წელს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტმა მოამზადა „შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022-2024 წლების საკომუნიკაციო სტრატეგია“.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანია

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტმა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საინფორმაციო კამპანია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით პროექტის – „ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ხელშეწყობა“ ფარგლებში 2020 წლიდან დაიწყო. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საინფორმაციო კამპანია მიზნად ისახავს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას ორგანიზებული დანაშაულის საფრთხეებსა და მის არასახარბიელო შედეგებზე. ასევე, კამპანიის მიზანია მოსახლეობამ სწორად გაიგოს, რამდენად მნიშვნელოვანია პოლიციისადმი ნდობა და პოლიციასთან თანამშრომლობა.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანია ოთხი მიმართულებით ხორციელდება: კიბერდანაშაული, კრიმინალური მენტალიტეტის წინააღმდეგ ბრძოლა, ტრეფიკინგი და ნარკოდანაშაული. კამპანიის ფარგლებში განხორციელდა როგორც მედიააქტივობები, ასევე, დამზადდა სარეკლამო ვიდეორგოლები და პრომომასალები.

ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Justice
ცენტრალური
კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი
CENTRAL CRIMINAL POLICE DEPARTMENT
facebook.com/MIACCPD
instagram.com/MIACCPD
შსს
police.ge
ORGANIZED CRIME
ORGANIZED CRIME
ORGANIZED CRIME

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კამპანია

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო ანტინარკოტიკულ და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის ბიუროს - INL-ის მხარდაჭერით, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კამპანიის ფარგლებში, ცნობიერების ამაღლების მიზნით მომზადდა ვიდეორგოლი - „მთვრალი საჭესთან მკვლელია“ და სოციალური რეკლამის სტატუსით განთავსდა ტელევიზიებში.

„დიდგორი 2021“

- შინაგან საქმეთა სამინისტროს 200-მდე თანამშრომელი მონაწილეობდა უწყებათშორის სწავლებაში - „დიდგორი 2021”. სწავლება საომარ და კრიზისულ სიტუაციაში სამთავრობო უწყებებს შორის კოორდინაციის გაღრმავებისა და ურთიერთქმედების დახვეწას ემსახურება. სწავლებაში სხვა დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდა სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი.

პოლიციელის დღე

- შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2021 წელს, პანდემიიდან გამომდინარე, რეგულაციების დაცვისა და შეზღუდვების გათვალისწინებით, პოლიციელის დღე აღნიშნა. სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტმა დაგეგმა პოლიციელის დღისადმი მიძღვნილი კვირეული, რომელსაც აქტიურად აშუქებდა სხვადასხვა სატელევიზიო არხი. ასევე, სოციალურ მედიაში განთავსდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტის წარმომადგენელთა ვიდეობლოგები.

პანდემიასთან ბრძოლა

2021 წელს მთავარ გამოწვევად კვლავ რჩებოდა პანდემიასთან ბრძოლა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო მთელი წლის განმავლობაში აქტიურად იყო ჩართული საკოორდინაციო საბჭოს მიერ მიღებული კოვიდრეგულაციების აღსრულებაში. პანდემიასთან ბრძოლაში უმთავრესი იყო დროული ვაქცინაცია, რაშიც შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები პირველივე შესაძლებლობისთანავე ჩაერთნენ, ასევე, საკუთარი და ახლობლების ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, მოუწოდებდნენ მოსახლეობას დროულად ვაქცინაციას. შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური თანამშრომლების ვაქცინაციის პროცედურას უზრუნველყოფდა წინასწარი რეგისტრაციის გარეშე, ვაქცინაციის პროცესი მთელი საქართველოს მასშტაბით მიმდინარეობდა ორგანიზებულად.

მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები

- 2021 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროში სულ აშენდა 11 ახალი შენობა
- 2021 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში გარემონტდა და კეთილმოეწყო 20 შენობა

ომალოს პოლიციის ადმინისტრაციული შენობა

გურჯაანის პოლიციის ადმინისტრაციული შენობა

სასაზღვრო სექტორი „ნიალა“

წალენჯიხის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური

მარტვილის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური

ჩოხატაურის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური

მიმდინარეობს ბინათმშენებლობის პროექტი, რომლის ფარგლებშიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ თანამშრომლებს საცხოვრებელი ბინები შედავათიან პირობებში შეასყიდინა. პროექტი ხორციელდება თბილისში, რუსთავსა და ბათუმში. ამ დროისთვის მშენებლობა დასრულებულია თბილისსა და რუსთავში. მშენებლობის პროცესი მიმდინარეობს ბათუმში.

2021 წლის მდგომარეობით, თბილისსა და რუსთავში აშენებული, ხოლო ბათუმში მშენებარე ბინები პირობით საკუთრებაში გადაეცა 245 თანამშრომელს.

ტექნიკური აღჭურვა

- **2021 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროში მასშტაბურად განახლდა ავტოპარკი. წლის განმავლობაში სულ შეძენილია 698 ავტომანქანა**

მასშტაბური გადაიარაღება

- **შინაგან საქმეთა სამინისტროში, ბოლო 12 წლის განმავლობაში პირველად, 2021 წელს განხორციელდა ყველაზე მასშტაბური გადაიარაღება**

COAST GUARD

POLICE

POLICE

მაბალი



ევროკავშირი
საქართველოსთვის
Project funded by the European Union

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის – „ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ხელშეწყობა“ ფარგლებში.
შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია შინაგან საქმეთა სამინისტრო და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

police.ge
facebook.com/MIAofGeorgia
police@mia.gov.ge

ანგარიში მოამზადა შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტმა

დაიბეჭდა შპს „სეზანში“
CEZANNE
PRINTING HOUSE